სააპელაციო საბჭო

25/12/2024

MES 3 24 0001656086

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი სხდომის ჩატარების თარიღი: **25/12/2024**

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო: 14:19 სთ
სხდომის თავმჯდომარე - გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი - ქეთევან გილაშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

საბჭოსწევრები:

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ქეთევან გილაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - საბჭოს მდივანი;
ერეკლე ასტახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ირმა შიოშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
ქეთევან ნატრიაშვილი - გერმანული საკონსულტაციო კომპანიის - PE Consult GmbH პროფესიული განათლების პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი;
ანასტასია ქიტიაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ცენტრის დირექტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრი (შემდგომში- ცენტრი)

№	**სახელი, გვარი**	**სტატუსი**
1	**ნია გრიგალაშვილი**	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	**თამარ რატიანიძე**	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" (შემდგომში - დებულება) 103 -ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom - ის გამოყენებით.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა თამარიონი + - ის №1619267 სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება:

√ არა

ზეპირი მოსმენა:

1. შპს სკოლა თამარიონი + - ის № 1619267 სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ სააპელაციო საჩივარს და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარი თქმის შესახებ.
სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრული იყო დებულების 97-ე მუხლის პირველ პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებდა დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი მიიღებოდა განსახილველად.
ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრის ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაწესებულებიდან გამოითხოვა ინფორმაცია, ხომ არ ჰქონდა მიმართული სარჩელით საქალაქო სასამართლოსთვის, რის შესახებაც, დაწესებულებამ წერილობით დაადასტურა, რომ მათ მხოლოდ ცენტრში ჰქონდათ სააპელაციო საჩივარი

შემოტანილი, რომლითაც მოითხოვდნენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და მიმართავდნენ სააპელაციო საბჭოს აღნიშნული საკითხის განსახილველად. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სასამართლო წარმოებაში არ იყო. შპს სკოლა თამარიონი + -ის სააპელაციო საჩივარი შეეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ იურიდიულ პირს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 2 დეკემბრის N1544249 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ავტორიზაციაზე.
სააპელაციო საბჭოს წევრებმა განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი და თანდართული დოკუმენტაცია დებულების 97-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებით და დაადგინეს, რომ საჩივარი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა თამარიონი + -ის მიერ წარმოდგენილი № 1619267 სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიღებულ იქნა შპს სკოლა თამარიონი + - ის №1619267 სააპელაციო საჩივარი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი